ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 9

15 მარტი , 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
16 :00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

გიორგი ბირბიჩაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად განიხილეს შემოსული განცხადებების საფუძველზე მომზადებული ინიციატივები. კომისიის გადაწყვეტილებით, ხსენებული საკითხები უახლოეს დღეებში დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე ინიციატივებად და გამოქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვის უზრუნველსაყოფად.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ცომაიას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დაბაკნეთის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დაბაკნეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გიორგი მუხაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თბილისის ზღვის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

5. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაბახმელას ველის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

6. ქ. თბილისში, ნაძლადევის რაიონში, ხორნაბუჯის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ხორნაბუჯის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

7. ქ. თბილიში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის კორნელი სანაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

8. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან არსებული სამი უსახელო ჩიხისთვის პიმენ ყურაშვილის I, II და III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

9. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა მოწამე ვასილისკოს სახელის მინიჭების შესახებ

10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გუმათჰესის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული შესახვევისთვის ავთო ვარაზის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

12. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში,თიანეთის ქუჩის გასასვლელისთვის ჯვარისუბნის სახელის მინიჭების შესახებ

13. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, რიკოთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქვითკირის სახელის მინიჭების შესახებ

14. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარტიანის სახელის მინიჭების შესახებ

15. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ ნასაგურში უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ

- მოსავლიანის ქუჩა
- წითლიანის ქუჩა
- მუხამწვანეს ქუჩა
- თაკვერის ქუჩა
- ოქროულას ქუჩა

- ათინაურის ქუჩა

16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ასურელი მამა იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ

17. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზეთის ხილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სასულიერო მწერლის, იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ

18. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოღანლუღის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის დადიანეთის სახელის მინიჭების შესახებ

19. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის კედარის სახელის მინიჭების შესახებ

20. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ბელაქნის სახელის მინიჭების შესახებ

21. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

22. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მხატვრის ვერა ბელეცკაიას სახელის მინიჭების შესახებ

23. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხის გაგრძელების შესახებ

სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით გათვალისწინებული 23 საკითხი განიხილეს და წარმოდგენილ სახელდებებთან დაკავშირებით იმსჯელეს.

თინათინ ნიბლოშვილმა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავად ისაუბრა. როგორც მან განმარტა, იქ სადაც ძირითადი ქუჩა უკვე სახელდებულია და ქუჩასთან ტერიტორიის განაშენიანების შედეგად განვითარდა შესახვევი, გასასვლელი ან ჩიხი, განვითარებულ უსახელო ტერიტორიას კომისიის ინიციატივაით ენიჭება ძირითადი ქუჩის სახელი. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, დღევანდელი დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების უმრავლესობა სწორედ ამ შინაარსისაა.

სხდომის თავმჯდომარემ სახელდების პროცესში ტოპონიმების შენარჩუნება-გამოვლენასა და აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა და იმ სახელდებებთან დაკავშირებით იმსჯელა, სადაც კომისიის სამდივნოს ინიციატივით და კომისიის წევრების გადაწყვეტილებით ტოპონიმური სახელწოდებები უნდა მიენიჭოს.

ცნობისთვის, ჯვარისუბანი, ქვითკირი, მარტიანი და დადიანეთი სოფლებია ახალგორის მუნიციპალიტეტში და 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უსახელო ტერიტორიის ირგვლივ მდებარე ქუჩები საქართველოს კუთხეებში არსებული სოფლის სახელებს ატარებს. კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული სახელდებით დაკარგული სოფლების სახელები გაცოცხლდება თბილისის ქუჩებში.

რაც შეეხება უსახელო ქუჩისთვის კედარის სახელის მინიჭებას, აღნიშნული სახელდებაც თემატურია, გამომდინარე იქიდან, რომ ლისის დასახლებაში არსებობს ქუჩებისთვის ხეების სახელდების პრაქტიკა.თუთის, მუხის და ტირიფების სახელი უკვე ჰქვია ირგვლივ მდებარე ქუჩებს.

კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად კრწანისის რაიონში ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ბელაქანის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს. სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, უსახელო ტერიტორია მდებარეობს თბილისის საზღვართან და დასახლებულია ეთნიკური აზერბაიჯანელებით. თბილისში არსებობს საინგილოს ქუჩა, თუმცა ბელაქანის ქუჩა ამ დრომდე არ არსებობს.

სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად ნასაგურში უსახელო ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებითაც იმსჯელეს. თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე 6 ქუჩა მდებარეობს ერთმანეთის მიმდებარედ. მართალია, ამ ეტაპზე ტერიტორია არ არის განაშენიანებული, თუმცა კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სახელდება, კონკრეტულად მოქალაქე ნანა შანშიაშვილის განცხადების საფუძველზე.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს ზემოაღნიშნულ უსახელო ტერიტორიაზე ე. წ. ვაზის ქართული ჯიშების ბლოკის წარმოქმნას, რომელთაგან უმეტესი დღეის მდგომარეობით გადაშენებულია.

თინათინ ნიბლოშვილმა კრწანისის და მთაწმინდის რაიონებში უსახელო ქუჩებისთვის არჯევან ანანიაშვილის და ვერა ბელეცკაიას სახელების მინიჭებაზეც იმსჯელეს. იუნკერთა ასეულის მთაურის, მაიორის არჯევან ანანიაშვილის სახელი მიენიჭება ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ ჩიხს. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, განაშენიანების პარალელურად ხსენებულ დასახლებაში კომისია ქუჩებს იუნკერების სახელებს დაარქმევს. ერთხმად მოიწონეს აღნიშნული იდეა კომისიის წევრებმაც.

რაც შეხება ვერა ბელეცკაიას სახელის მინიჭებას, აღნიშნული უსახელო ტერიტორია მდებარეობს ირინა შტენბერგის ქუჩასთან. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ირინა შტენბერგი იყო მხატვარი და ქუჩას ბიოლის ფონდთან დადებული მემორანდუმით (ქუჩებისთვის ქალების სახელების მინიჭება) დაერქვა სახელი, გვსურს პრაქტიკის გაგრძელება და პარალელური ქუჩისთვისაც ქალი მხატვრის ვერა ბელეცკაიას სახელის მინიჭება.

კომისიის სხდომაზე თბილისის რამდენიმე ქუჩისთვის სასულიერო პირების სახელების მინიჭების საკითხი განიხილეს. თითოეულთან დაკავშირებით (წმინდა მოწამე ვასილისკო, ასურელი მამა იოსებ ალავერდელი და იოანე ზოსიმე) კომისიის წევრებმა ვრცლად ისუბრეს.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი მასალები დადებითად გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და საჯარო განხილვის მიზნით საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თ. ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

15 მარტი, 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი